

ნინელი ჭოხონელიძე

ფერთა სახელები რ. ინანიშვილის ენაში

გარე სამყარო, როგორც დიდი შოთა ბრძანებდა, „გვაქვს უთვალავი ფერთა“. თითოეული ერი თუ ადამიანი სამყაროს თავისებურად, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალობით აღიქვამს და, შესაბამისად, განსხვავდება მათი დამოკიდებულება სხვადასხვა ფერის მიმართ. ამასთან ერთად „არსებობენ ადამიანები, რომელთაც უყვართ *კოკეტური* ფერები“ (ცისფ. 192, 3).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა რ. ინანიშვილის მხატვრულ შემოქმედებაში დადასტურებული ფერთა სახელები, რომელთაც მწერალი იშვიათი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მწერლური ალლოთი იყენებს როგორც ადამიანის შინაგანი ბუნების გასახსნელად, ისე გარე სამყაროს მხატვრულად წარმოსაჩენად.

ცნობილია, რომ ფერთა აღმნიშვნელ სიტყვებს, ზედსართავ სახელებს, მხატვრულ ნაწარმოებში კი – ეპითეტებს, მხატვრულ განსაზღვრებებს, დიდი ხატოვნობა და, შესაბამისად, გამომსახველობითი ძალა აქვთ.

რ. ინანიშვილის ენაში დასტურდება როგორც აქრომატული ფერები (**თეთრი, შავი, რუხი**), ისე ქრომატული (**წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი**). „ესენი ძირითადი ფერებია, რომლებიც გამოირჩევიან აქტიურობით, სტილისტიკურად ნეიტრალურები არიან და თავისუფლად ეხამებიან ნებისმიერ სიტყვებს“ [მირიანაშვილი 1986: 7].

ფერის მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე შემდეგი სიტყვები:

სპეტაკი: ისეთი თეთრი, *სპეტაკი* წვერი ჰქონდა, თითქოს ბამბის ფთილა ამოუკრავთ შოკოლადისფერ ყბებზე და ნიკაპზეო (შორ. 180, 5).

ქერა: საწერ მაგიდასთან დაზვინულ *ქერა* ქალს ვუთხარი (ჯაფ. 181, ქვ. 4).

ყომრალი (თურქ.) მუქი ნაცრისფერი, – ლეგა: აიწევდა *ყომრალი* ღრუბელივით ჩხართვების ერთი გუნდი და გადავიდოდა სხვა ადგილას (გოლ. 128, 14). იხ. საბა, დ. ჩუბ., ქეგლი.

ქუფრი (სპარს.) შავი, ბნელი: მოგრუხუნებდა *ქუფრი* ღრუბლების ჯარი (მეგობ. 146,14). იხ. დ. ჩუბ., ქეგლი.

მწერლის მიერ გამოყენებული ფერთა პალიტრა განსაკუთრებით წარმოჩნდება სინტაგმებში, მსაზღვრელ-საზღვრულთა როგორც ორწევრა, ისე სამწევრა შეხამებებში.

ორწევრა შეხამებანი: პირველ ნაწილად გამოიყოფა **თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი, ლურჯი, რუხი**, განსაკუთრებული სიხშირით კი გამოირჩევა **თეთრი** ფერი.

თეთრი

გონივრების ქვემოთ *თეთრი რიყე* იყო (ჯაფ. 293, 7).

ხევში ორი *თეთრი ჩანჩქერი* ჩაქუხს (ცისფ. 210, 1).

ჰორიზონტზე *თეთრი კვამლი* აბოლქვდა (ჯაფ. 41, 6).

გამოუშუქდება *თეთრი შუქიც* (ასული 81, 22).

ნაკალოვრები და ნასაბძლარები *თეთრმა კორპუსებმა*, ბარაკებმა და კოტეჯებმა დაიკავეს (ჯაფ. 340, 5).

ბოძებზე ღაბუა ჩიტებივით ჩამომწკრივებულიყვნენ *თეთრი იზოლატორები* (ცისფ. 176, 16).

ტუჩებს შორის თანდათან გამობუმტავს *თეთრ ბუმტს* (გოლ. 28, 7).

იაღნოზე დაწეწილი *თეთრი ღრუბლები* დახვდა (ასულ. 92, 2).

ამბარა წამოიბურა, წვიმა მოვა, იაღნოზე *თეთრი ღრუბლები* წამოსხდნენ (ჯაფ. 354, 9).

კბილები *თეთრი ციალით* გაუნათებდნენ ხოლმე სახეს (გოლ., 8).

თვალები... *თეთრი წრეებიდან* გამოლულდუდებული ნამდვილი შავი ნაკვერცხლები (გოლ. 102, 9).

შავი

შავი კაბა და შავი ფეხსაცმელი გაქვავებამდე მიჭიმავენ ნერვებს (გოლ. 66, 4).

ბარბალეს *შავი კაბა* ამოუკერეს (სარ.159, 2).

ჩამოდიოდა დგანდგარით *შავი წვიმა*, გალუმპა ცოცხლებიცა და მკვდარიც (ჩიტ. 80, 16).

წინ *შავი ხელადა* და თიხის პატარა ჯამი ედგა (ცისფ. 19, ქვ. 3).

მაგრამ მაინც ლამაზი მოვდივარ, ... ყვავილი რომ ამოსცდება *შვ ფოთლებს* (ალერს. 224, ქვ. 1).

რა დღეში არიან ქართული გულაბები, გადაჭამეს *შავმა ხალუბმა* და ეგ არის! (გოლ. 149,11).

ნამთვრალევი კაცის *შავი ფიქრები* ხომ მესეოდნენ და მესეოდნენ კრაზანებივით (ალერს. 52, 18).

წითელი

შემოთახთახდა *წითელი ავტობუსი* (გოლ. 365,11).

მოფლემილმა გიგოს ჩაის ჭიქა *წითელი ღვინით* გაუვსო (ალერს. 111, 12).

ყველაფერი *წითელ წყალში* დალივლივებდა (გოლ. 121, ქვ.7).

სახლს დავადგათ, *წითელი ქემტით* გადავხუროთ (ჯაფ. 351, ქვ. 7).

– აბაო, აბაო! – კვერს უკრავდა ბოხი ხმით *წითელი მამალი* (შორ. 15, 14).

ყვითელი

ნაკადული.... *ყვითელი წყლით* გაჭიპჭიპებულ ბილიკს გასცდენოდა (ასულ. 148,19).

ყვითელ ჩემოდანში ხუთი მჭადნარევი პური... (ალერს. 181, 20)

აქ *ყვითელ ფოთლებზე* დახუჭავენ ცვრის წვეთები თვალებს (წვეთ. 4, 20).

პატარა კალოებად იყო დაგებული *ყვითელი ფოთლები* ხეების ქვეშაც (ასულ. 152, 11).

დააკავებდა... *ყვითელი ტირიფის* საყელავით (ასულ. 186, 13).

ლურჯი

ლურჯ მთებს ლეჩაქივით გამჭვირვალე ბურუსი თუ ორთქლი აქვს გაკრული (ცისფ. 219, ქვ. 5).

გამართა მამამ ანკესები დიდი: გრძელი ტარით, გრძელი ძაფით, *ლურჯი ტივტივით* – თავისთვის (გოლ. 235,2).

ლურჯი ფერი

კანდაფშხალულ თითებზე *ლურჯი ფერი* დაჰკრავდა (ჯაფ. 325, 7).

მწვანე:

ზედ ორიოდე *მწვანე ბალახიც* ამოზინებულა (შორ. 198, ქვ. 3).

კეთილოს... იქ უკვე უყრია *მწვანე ბალახი* და ლობიოს ნარჩევი ჩეჩქი (კეთ.197, 20).

რუხი:

მჭიდროდ შემოკვართული რუხი კაბა ეცვა (ჯაფ. 77, ქვ. 8).

განსაკუთრებული მხატვრობით გამოირჩევა **სამწევრა შეხამება**: ამ შემთხვევაში ფერის ამსახველი სიტყვა მეორე ადგილზეა და მას თვითონ ახლავს ზედსართავი სახელით გამოხატული განსაზღვრება.

ახლა უკვე პატარა ფარდულის *პატარა შავ კარში* შეიჩქაროდა დახრილი (გოლ. 68, 23).

ჩხიდან *ახალთახალი თეთრი ყაბალახი* ამოიღო (ალერს. 404, 20).

სუფთად აპარსულ კეფაზე *პატარა ყავისფერი ბერეტი* ჰქონდა დაკოსებული (ალერს. 436, ქვ. 6).

კბოდის ძირსდა მილიკლიკებდა *პატარა ლურჯი ნაწკრეტი*, ერთგან ტბორდებოდა (გოლ. 163, 27).

ღონივრად სხედან უკანა ფეხებზე *დიდი თეთრი ნაგაზები*, ნამდვილი ძველებური ცხვრის ნაგაზები – ბებერა და ლომა (გოლ. 66, 13).

შინ მოქსოვილი *წოწოლა წითელი ქუდი* ჰხურავს (მეგობ. 109, 11).

ჩოქელა ვერხვების თავზე *პატარა თეთრი კვამლი* ავარდა (შორ. 277, 8)

დერეფანში, *მომტკიცულ შავ მიწაზე*, ერთმანეთის პირისპირ სხედან ორნი (ალერს. 295, 15).

ამოიღუნება ვეებერთელა მცურავის *ჭრელი მოყავისფრო წელი* (გოლ. 233, ქვ. 5).

ერთმა დამსვენებელმა *ვეება შავი სენბერნარული ძაღლი* ჩამოატარა (ალერს. 450, 23).

ზოგჯერ მსაზღვრელი მოსდევს ფერის აღმნიშვნელ სიტყვას: მსხლების ქვეშ ვაშლები ჩაყუჩებულიყვნენ: კომშა ვაშლები, კიტრანები, ჟანგურები, იყო *წითელი ყინულა ვაშლიც* (შორ. 184).

მზიას *მაღალყელიანი თეთრი ფაფუკი სვიტერი* აცვია (ასულ. 79, 5).

ლურჯი გალიფე და *თეთრი აბრეშუმის ხალათი* იყიდა (ჯაფ. 241, ქვ. 8).

შიგნით უფრო ახლობლური რამ ეცვა, – *შავი ბამბაჭიის ხალა-თი*, ქამარშემოჭერილი, ჯიბისპირ აღუნული, წვრილი ღილებით სა-ძირამდე შეკრული (ალერს. 218, 5).

არის ისეთი შემთხვევაც, როცა ფერის აღმნიშვნელი სიტყვა კომპოზიტის შემადგენელი ნაწილია:

ამიყვანა ფაფუკხელებიანმა *დიდმა თეთრწვერა კაცმა* მსუბუ-ქად (გოლ. 123, 14).

ზოგჯერ ფერის აღმნიშვნელ სიტყვას წინ უსწრებს გასუბსტან-ტივებული მსაზღვრელი (ნათ. ბრუნვისფორმიანი):

აი, ვხედავ ფალანგასავით შემზარავ, მისი *ხელის შვ მტევან-საც*, დედის შევერცხლილ საფეთქელთან გატვრენილს (გოლ. 154, 24).

კოხტად დაწნული *ტირიფის თეთრი ხახლით* იდგა: *ქანგურა* გულაბები და დამკვრახული ყურძენი (ჯაფ. 64, 14).

ფერის გარკვეული ინტენსივობა თუ ხარისხი ძირითადად შემდეგი სიტყვებით გადმოიცემა: **მუქი, ცოტა, მთლად, სულ წმინ-და, მქრქალი, დამჯდარი**.

მუქი ლურჯი: ეს დარდი მსხვილი *მუქი ლურჯი* წვეთივით თუ საყურესავით ჰკიდია გულის წვერზე და ქანაობს (გოლ. 376, ქვ. 3).

მერე რა, რომ მთები *მუქლოურჯად გამოიყურებიან* და თითქოს შავად ბოლავენ?! (ცისფ. 199, 21).

ცოტა ღვინისფერი: წყალი ალბათ *ცოტა ღვინისფერიც* იქნება (შორ. 290, 6).

მთლად სანთლისფერი: ჩაკუნტულია მის მუხლთან *მთლად სანთლისფერი* ქალი (ასულ. 80, 19).

სულ წმინდა სანთლისფერი: გვიან შემოდგომიდან კვირტის გამოსვლამდე *სულ წმინდა სანთლისფერი* იდგა შიგ (ასულ. 185, 16).

მქრქალი ცისფერი: *მქრქალი ცისფერი* ძაფი ამოარჩია, გამოლ-შალა წვერი, დაასამკვცა (ალერს. 139, 10).

ფერის ინტენსივობის გამოსახატავად მწერალი მიმართავს ორიგინალურ რთულსიტყვიან შეხამებებსაც:

მაგრად მოხარშულ კვერცხისგულისფერი: *მაგრად მოხარშულ კვერცხისგულისფერ* ქურთუკს ხან მხარზე გადაიკიდებდა, ხან ილ-ლიაში ამოდებული მოჰქონდა (ჯაფ. 189, 17).

ტყის სატაცურისფერი: მხვდება აგრეთვე მშვენიერი ანკარაც, კრიალა, *ტყის სატაცურისფერი* (ასულ. 60,10).

ვხვდებით ფერის აღმნიშვნელ სიტყვათა გაორკეცებასაც, ტოლად შერწყმულ კომპოზიციას:

შავ-შავი: იბაგუნებდნენ *შავ-შავ* მჯიღებს მკერდზე (ჯაფ. 68, ქვ. 2).

ჩამოსხდომოდნენ ჩაჟინჟილებული გლეხკაცები *შავ-შავ კასრებსა* (ჯაფ. 65,18).

ლურჯ-ლურჯი: კომბოსტოს ფოთლებში გახვეულ *ლურჯ-ლურჯ* მურწა თევზებს აწყობს (ჯაფ. 51, ქვ. 1).

ბროლა-ბროლა: ეყარა *ბროლა-ბროლა* კაკლები, თეთრლებნიანები (ჩიტ. 264, ქვ.10).

დასტურდება სხვადასხვა ფერით მიღებული კომპოზიტებიც:

შავ-ყვითელი: მოდის ერთი შუახნის ქალიც – გამხდარი, განეულელებული, *შავ-ყვითელი* (ჯაფ. 351, 6).

მწერალი ხშირად იყენებს ისეთ რთულ სიტყვებსაც, რომელთა ორივე კომპონენტს ოდნაობითი ზედსართავი სახელი წარმოადგენს:

მომწვანო-მოყვითალო: ბროწეულებს თამროს მსხლები მოჰყვა, ცივები, მძიმეები, გვერდებ ოკრო-ბოკროები, *მომწვანო-მოყვითალოები* (შორ. 134, 14).

მომწვანო-მოლურჯო: ეს მარტოხეები, ბრტყენები, პირველ გაფოთელისას *მომწვანო-მოლურჯო* ფერს დაიკრავენ (გოლ. 246, 8).

ოდნაობითი ხარისხით გამოხატული ფერთა სახელები დასტურდება ცალკეც (როცა ის არ წარმოადგენს კომპოზიტის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს):

მო-ო

მონაცრისფრო: გიგლიას... *მონაცრისფროდ* დაეტეტკა სახე (ალერს. 184, 12).

მოცისფრო: ქალი მტკიცედ მოადგამს ნაბიჯებს... თვალების *მოცისფრო* ჟუჟუნით, სრული ჩალი ტუჩებით (გოლ. 134, 8).

ფერის აღმნიშვნელი სიტყვები გვხვდება აბსტრაქტულ სახელებშიც:

სი-ე

სილურჯე: ჩემს მასპინძელს... სათუთად ჰქონდა გადავარცხნილი მოკლე, *სილურჯემდე* მისული პრიალა თმა (ჩიტ. 294, 3).

სიმწვანე: მაიას... კვირისტავამომჯდარი მუხლები მოუჩანდა, სახეზე ბავშვური *სიმწვანე* გადაჰკრავდა (ტ. I, 61, 7).

სირუხე: (მგლების) *სირუხეში* ხან ერთი თვალი გაბრწყინდება ციციანთელასავით, ხან მეორე (შორ. 138, ქვ. 2).

მწერალი ხშირად მიმართავს **-ა** და **-იან** სუფიქსებიან რთულ სიტყვებს, რომლებშიც **ფერ-** ფუძე ძირითადად პირველ კომპონენტად გამოიყოფა.

ა- სუფიქსიანი

ყვითელგულა: ყვავის *ყვითელგულა*, თეთრგვირგვინებიანი გვირილა (კეთ. 26, 7).

თეთრწვერა: ჩვენს ახლოს, ათიოდ ნაბიჯზე, ბოლთას სცემს ერთი ახოვანი *თეთრწვერა* ლეკი (ცისფ. 208, 1).

ამიყვანა ფაფუკხელებიანმა დიდმა *თეთრწვერა* კაცმა მსუბუქად (გოლ. 123, 14).

თეთრულვაშა: *თეთრულვაშა* მოხუცი, – მოკუზული, ძვალტყავი, წანწყარასავით თავაწეული (ალერს. 186, 15).

ყვითელნისკარტა: ჭახჭახით გადადიან ბუწვნარიდან ბუწვნარში საზამთროდ დასუქებული, ფერდაპეწილი *ყვითელნისკარტა* შაშვები (შორ. 292, ქვ. 1).

ყვითელნისკარტა შაშვიც წავა, წასკუპსკუპდება თავაწეული (ასულ. 60, 12).

შავტარა: ულოცავდა ჭირვეულ ბავშვებს *შავტარა* დანით და ნახშირით (ალერ. 104, 9).

შავჯაგარა: თავი – *შავჯაგარა* (მეგობ. 125,3).

ფერის აღმნიშვნელი სიტყვა შეიძლება მეორე კომპონენტიც იყოს:

ცხვირწითელა: *ცხვირწითელა* და სახედახუწუწებულმა ცანცარა გოგონამ ცივი წყალი გადმოგვასხა ამაღელვებელი შეხვედრის მომლოდინეთ (ცისფ. 200, 6).

ამავე ყალიბშია მოქცეული **-ა** სუფიქსით წარმოდგენილი ფერის აღმნიშვნელი შემდეგი სიტყვებიც:

ქურანა: ქვემოთ დაპოხილმოსართავიანი *ქურანა* ცხენები გამოჩნდნენ (ჯაფ. 71). შდრ. ქურანი.

ჟრუნა: თქვენმა *ჟრუნა* ციცარმა ფეხი მოიტეხა მესერზე (შორ. 84, ქვ. 7). შდრ. ჟრუნი.

ღუღღუდა: ესხა... ღუღღუდა კუფხლები და კუნწულები. და ფერად იყო – ენით გამოუხატავი ფერისა (ალერს. 82, 7), შდრ. ღუღღუდებს: ნეკერჩხლის ერთი დიდი ფოთოლი... წითლად ღუღღუდებდა ტყის ბინდ ჰაერში (საღ. 182, 9).

-იან სუფიქსიანი

ჭრელთვალეზიანი: იდაყვმწყვეტი და *ჭრელთვალეზიანი* ქალი გაცივდება ყინულის ლოლუასავით (გოლ. 287, 30).

თეთრგვირგვინეზიანი: ყვავის ყვითელგულა, *თეთრგვირგვინეზიანი* გვირილა, ლურჯად აკუნწული ვარდკაჭაჭა, ღვინისფერი სანთელა (კეთ. 26, 7).

შინდისფერსვიტერიანი: წამოვიდა ჩვენკენ *შინდისფერსვიტერიანი* მაღალი, ხეხელა ახალგაზრდა (გოლ. 319, 21).

შავთმიანი: მოვიდა მთლად პატარა, *შავთმიანი*, კაწაწა (ტ. I, 61, 6).

თეთრქილეზიანი: *თეთრქილეზიანი* ჩერქეზული ჩოხა (გოლ. 276, 11).

წყლისფერთვალეზიანი: შეგიძნევია ქერა კახელები? – როგორღაც ფართონაკვითიანები, გლუენი, *წყლისფერთვალეზიანები*, წარბებგადახუნულები (ალერს. 270, 18).

წითელსახურავიანი: გარბოდნენ უკან მწვანედ აზღვავებულ ხეებში ჩამჯდარი *წითელსახურავიანი* სახლები (ჯაფ. 19, ქვ. 2).

წითელთვალეზიანი: *წითელთვალეზიანი* არწივის... (ასულ. 20, ქვ. 4).

თეთრბოხიანი: ბოლოს *თეთრბოხიანი* მეცხვარედ არ იქცა (შორ. 88, 13).

თეთრპერანგიანი: მეც მახსოვს ისინი ერთად – *თეთრპერანგიანები* (გოლ. 153, ქვ. 3).

თეთრხელეზიანი: მათ შორის ... იყვნენ ნაზადმჭამელებიც და „ზაქიჭამიებიც“, *თეთრხელეზიანი* და ცხვირპირ გამურულნიც (ტ. I, 63, ქვ. 4)

თეთრლებიანი: ეყარა ბროლა-ბროლა კაკლები, *თეთრლებიანები* (ალერს. 310, 12).

ფერის აღმნიშვნელი სახელი შეიძლება კომპოზიტის მეორე კომპონენტადაც შეგვხვდეს:

გულთეთრი: *გულთეთრი* კატა... ფილოსოფოსის სიმტკიცით შემომყურებს თვალეზში (ასულ. 60, ქვ. 4).

ყუაშავი: ძველებური *ყუაშავი*, გალეული და მაინც აღმასივით მჭრელი წალდი უკვე ხელში მიჭირავს, თითქოსდა იმას მივიმძლოლებ წინ (გოლ. 232, 14).

-**იან** სუფიქსი ზოგჯერ პირდაპირ ერთვის ფერის აღმნიშვნელ სახელს: **წითლიანი:** *ჯერ წითლიანი* თავსახვევი მოიხსნა, მაღლა წაიკრა, უკან გაიბანტა (გოლ. 289, 29).

ხშირად ამა თუ იმ ფერის გამოსახატავად შესადარებელი საგანი მოხმობილია -**ვით** თანდებულისანი ფორმით:

ისეთი კეთილი სიყვარულით შემოგაფოფინებდა მართლაც და *მაცვალივით შავ* თვალებს (ალერს. 79, 26).

ერთი მტკაველი ქალი იყო - *შავი, შავი სადულრის ძირივითა* (ალერს. 548, ქვ. 9).

ისხდნენ როგორც ბავშვის ნახატში, ხესთან შედარებით უზომოდ დიდები, ნაცრისფერში შექლენთილი *თეთრი აკვარელივით* (ალერს. 272, 22).

რის გაკაწრული, კაცო, *ლილაში გავლებულივით იყო და-ლურჯებული* (ალერს. 263, ქვ. 4).

კომშებივით იყვნენ დაყვითლებულნი და დაბუსუსებულნი ციებისაგან ჩვენებურები (ტ. I, 15,4).

კალაყრილი სინივით აჭრელებული მთვარე ქედის ზურგს ეფინება (მეგობ. 116, ქვ. 10).

ამ ყვავს, მართლა *ყვავივით შავ*, მხრებწამოწეულ ყრანტალა კაცს, ნამდვილი სახელი ისაკა ერქვა (ასულ. 149, 12).

აიწევდა *ყომრალი ღრუბელივით* ჩხართეების ერთი გუნდი და გადავიდოდა სხვა ადგილას (გოლ. 128, 14).

ზოგჯერ მწერალი ფერის წარმოსაჩენად მთელ წინადადებასაც მიმართავს:

ისეთი *თეთრი*, სპეტაკი წვერი ჰქონდა, თითქოს ბამბის ფთილა ამოუკრავთ შოკოლადისფერ ყბებზე და ნიკაპზეო (შორ. 180, 5).

რ. ინანიშვილი ხშირად იყენებს სალიტერატურო ქართულში გაბატონებულ რთულფუძიან ფერის აღმნიშვნელ სიტყვებს:

ოქროსფერი: ალი შიშველი, პატარა ლამაზი ქალი იყო. კოჭე-ბამდე დასთრევდა *ოქროსფერი* თმა (გოლ. 277, 15); ასე გეგონებოდა, ცოტაც და მთასვლელებიც გამოჩნდებოდნენ მის *ოქროსფრად* გადაგლუებულ მწვერვალებზე (ალერს. 24, 14); ქალს... მქრქალ ნაღველში ნელ-ნელა გაერევა *ოქროსფერი* ღიმილი (ასულ 85, ქვ. 2).

ნაცრისფერი: შარვლის ტოტებს... ვიტანთ – მე თეთრი ღაზ-ლის წინდებში, თენგიზი – *ნაცრისფერებში* (ცისფ. 180, 7).

ყავისფერი: სუფთად აპარსულ კეფაზე პატარა *ყავისფერი* ბერეტი ჰქონდა დაკოსებული (ალერს. 436, ქვ. 6); გელა გაიქცა ახალი, *ყავისფერი* ბათინკების სწრაფი ფათქაფუთქით, ქვევზე ბორძიკით (ჯაფ. 311, ქვ. 2); თელის წვრილ-წვრილი ბუმგალა ყვავილები *ყავისფრად* არის შეხორხლილი ტოტებზე (შველ. 44,13).

წაბლისფერი: *წაბლისფერი* ძალი მსხვილია, გარუსული, ყურებდაჭრილი, კუდალა (კეთ. 326, 3); ნამდვილ დათვებს, ესე იგი, ჩვენებურ *წაბლისფერ* დათვებს, კარგი ძმაკაცებივით ღიმილითა და ამოძახილებით შეხვდა (შორ. 997, ქვ. 1); ცხოველები: ამაყად დგას *ყავისფერი* დოგი (ალერს. 94, 26).

ვარდისფერი: ის ღრუბლები *ვარდისფრად* შეიღება (ასულ. 92, 4).

იასამნისფერი: ლიცლიცით გამოდიოდნენ *იასამნისფერ* ბურუსიდან (ჯაფ. 69, ქვ. 7).

იისფერი: ვუყვებოდი *იისფერ* ფიორდებზე (ჯაფ. 142, 9).

ნარინჯისფერი: თვალმოჭუტულნი შევეყურებთ *ნარინჯისფერ* ფოთლებში გაბარდულ მზეს (ჯაფ. 52, ქვ. 9)

ფირუზისფერი: ვუყურებდი ხან ორთქლავარდნილ მიწას, ხან *ფირუზისფერ* ცას (ალერს. 26,14).

სპილენძისფერი: *სპილენძისფერ* სახეზე იშვიათად თუ გადავვლიდა ღიმილი (ასული, 96, ქვ. 7).

ქარვისფერი: გასაოცარი ქარვისფერი სიმშვიდე დგებოდა (ასულ 152, ქვ. 3).

მიწისფერი: ტერფები მძიმე ჰქონდა, *მიწისფერი*, გარქოვანებული (ასულ. 148,11).

ღვინისფერი: ყვავის... *ღვინისფერი* სანთელა (კეთ. 26, 7).

სალათისფერი: *სალათისფრად* შეღებილი ოთახი (ასულ. 35, 14).

შაბიამნისფერი: *შაბიამნისფერ* კომბოსტოს ძირებში გადავიდა (ჯაფ. 257, ქვ. 7).

შოკოლადისფერი: ისეთი თეთრი, სპეტაკი წვერი ჰქონდა, თითქოს ზამბის ფთილა ამოუკრავთ *შოკოლადისფერ* ყბებზე და ნიკაპზეო (შორ. 180, 5).

მწერალი ქართული ენის ბუნების მიხედვით თვითონაც ქმნის რთულფუძიან ფერის აღმნიშვნელ ახალ ლექსიკურ ერთეუ-

ლებს, ძირითადად მცენარეების, მინერალების, ლითონების, ბუნების მოვლენების, კვების პროდუქტებისა და სხვ. აღმნიშვნელ საგნისა და ფერ-სახელისაგან.

იასამნის მტვრისფერი: ფერი ჰქონდა – *იასამნის მტვრისფერი* (ალერს. 237, 1).

დარიჩინისფერი: სოფელში ისე არ გავიდოდა, *დარიჩინისფერი* ქულაჯა და შავადგაპრიალებული ჩექმები არ ჩაეცვა (ალერს. 401, 15).

ბალახისფერი: *ბალახისფერი* თვალები ჩამუქებოდა (გოლ. 92, 28).

კალისფერი: მალლა, *კალისფერი* ციდან გამოვიდნენ კრუტუნა კვირიონები (ალერს. 158, 14)

ჟანგისფერი: თავით ფეხამდე რაღაც *ჟანგისფერი* ქალი... (ალერს. 140, 6); ვცდილობ, გავარჩიო, რას ეჩურჩულება *ჟანგისფერ* ქვას თავდახრილი ყვითელი შელგა (კეთ. 28, ქვ.2).

ტყვიისფერი: წყალი ცივია, *ტყვიისფერი*, რაღაც მკაცრი (ცისფ. 202, 3).

ფოლადისფერი: ზღვა *ფოლადისფერად* ცივად ლაპლაპებს (ცისფ. 198, ქვ. 1).

დინდგლისფერი: *დინდგლისფერ* ბოდს მძიმედ დასწოლია სველი, ხავსმოდებული ღარიანი კრამიტის სახურავი (ალერს. 295, 13).

წყლისფერი: ერთხელაც ააჟუჟუნა *წყლისფერი* კეთილი თვალები (სად. 147, 3).

მკვდრის მზედაფენილი ლოდებისფერი: აული... დგას *მკვდრის მზედაფენილი ლოდებისფერი* – მკაცრი, უძრავი (ცისფ. 231, 8).

თიხისფერი: აქა-იქ ვაზის ძირებში თუ იყო ჩარჩენილი *თიხისფერად* გამხმარი, დახლაკნილი ღივი და ფოთოლი (ჯაფ. 258, 13).

რიყის ქვისფერი: *რიყის ქვისფერ* კრამიტით დახურული სახლები თითქოს საგულდაგულოდ დაუსუფთავებიათო (ცისფ. 179, 19).

მტუტისფერი: იმ ცისარტყელების უკან, *მტუტისფერ* სიდრმეში, ისევ ქუხდა (შორ. 275, ქვ. 11).

ნესტისფერი: მთელი ხეობა *ნესტისფერად* ჩაბუნტებულიყო (შორ. 298, 2).

ჩრდილისფერი: წინ მიუძღვის *ჩრდილისფერი* გრძლად გაძაგრული ორი ვეება მგელი (ალერს. 53, ქვ. 7).

ჯანდისფერი: *ჯანდისფერია* და მგმინავი ყოველივეც ირგვლივ (ასულ. 80, 4).

მზისფერი: *მზისფერი* რომ ხარ, სუნიც მზისა გაქვს (ჯაფ. 201, 21).

ბელურასფერი: მთის ძირას, ეს *ბელურასფერი* თბილი კლანჭა ბალახია მოდებული (ცისფ. 182, 11).

ჭიგვის ფერი: ფერი რა არის, *ჭიგვის ფერი*, ახალშესარულზე სულ თეთრად იყო გაწალდული ყველა ჭიგო (ასული 185, 12).

ფერის აღმნიშვნელი სიტყვები წინადადებაში შეიძლება ვითარების გარემოებად მოგვევლინოს: ვინ გააქრო კალოს მსხალი ანდა იაზლუხი, ნათლისმცემლობა დღეს რომ *ყვითლად* დაამშვენებდა სუფრას! (გოლ. 149, 8) (ამ ტიპის შემთხვევები ზემოთაც არაერთგზის იყო წარმოდგენილი):

მერე რა, რომ მთები *მუქლურჯად* გამოიყურებიან და თითქოს შავად ბოლავენ? (ცისფ. 199, 21).

ფოლადისფრად მილაპლაპებს წყალი (ასულ. 157, 2).

სანთლისფრად უბრწყინავდა თვალები (გოლ. 204, 17).

ის გზა ახლა *ტყვიისფრად* ჩანს (ასულ. 120, 4).

მწვანე რცხილებში *წითლად* ღუდღუდებდნენ შემწიფებული ჩიტვიშლები (ალერს. 81, ქვ. 5).

თელის წვრილ-წვრილი ბუძგალა ყვავილები *ყავისფრად* არის შეხორხლილი ტოტებზე (შველ. 44, 13).

მთელი ხეობა *ნესტისფრად* ჩაბუნტებულიყო (შორ. 298, 2).

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ვითარებითბრუნვიან ფერის აღმნიშვნელ სიტყვას მოსდევს მიმღეობა და ორივე ერთად განსაზღვრავს სახელს:

სამი *შავად გახუხული* ბიჭი ბანაობდა (გოლ. 217, 14).

...*შავად გადაბნელებულ* ნახნავებშია (ალერს. 187,9).

ყვავები ღამით სულ *შავად აფუყულები* ისხდნენ (გოლ. 303, ქვ. 8).

ბალჩაში *შავად ალანბული* ხეები დგანან (მეგობ. 116,18).

მის ადგილას *შავად ამოკამებული* ძირის ნარჩენილა იდგა, ისიც გულჩამწვარი, ჩანაცრებული (გოლ. 249, ქვ. 5).

სალორიდან ღორი გამოიყვანეს – დიდი, *შავად ჩამდგარი*, ნა-სუქი, მუცელჩამოშვებული და ფეხებდაპატარავებული (ალერს. 47, 26).

ასე გეგონებოდა, ცოტაც და მთამსვლელებიც გამოჩნდებოდ-ნენ მის *ოქროსფრად გადაგლეულ* მწვერვალებზე (ალერს. 24, 14).

სალათისფრად შეღებილი ოთახი (ასულ. 35, 14).

გავჭერი ხევიდან წამოსული *თეთრად გადამხმარი* ნაღვარალი (ალერს. 81, 22).

სულ იქით ცა არის, შემოდგომის *ლურჯად მიყუჩებული* ცა (ალერს. 132, 2).

ბევრი *ლურჯად აბოლქვილი* ხე დგას (ჯაფ. 53, 14).

თითს იშვერს *ლურჯად აბოლქვილ* ხეებისაკენ (ჯაფ. 51, 7).

ვისთან უნდა მისულიყავი, რომ *ლურჯად მოხარშული* მსხვი-ლი ფიჩხული არ გამოეღოთ განჯინიდან (გოლ. 129, 16).

ორ ქალს უჭირავს *ყვითლად გაღინდლული* ძუძუთა ბავშვები (ასულ. 80, 13).

აქა-იქ ვაზის ძირებში თუ იყო ჩარჩენილი *თიხისფრად გა-მხმარი*, დახლაკნილი ღივი და ფოთოლი (ჯაფ. 258,13).

შეებრალა ის *სპილენძისფრად გადალაპლაპებული* კაცი (ალერს, 121, 6).

მწვანედ აზავთებული პამიდორი იდგა (ჯაფ. 283, 15).

ამოხტა პირველი *თეთრად გადაკუჭუჭებული* ბოტი (ჯაფ. 122, ქვ. 2).

ზოგჯერ ფერის აღმნიშვნელი სიტყვა (რომელიც ხან ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ხან კი მოქმ. ან ვით. ბრუნვის ფორმებით) კომპოზიტის პირველი ნაწილს წარმოადგენს:

თეთრბეწვშემოვლებული: ისევ ის პალტო ეცვა, გრძელი, საყე-ლოზე *თეთრბეწვშემოვლებული*, ბერეტიც თეთრი ეხურა, წინწამოწე-ული (გოლ. 155,18).

შავადმიმხმარი: ერთი ფშაველი ქალი იჯდა – შავი, *შავად-მიმხმარი* (ასულ. 269, 14).

შავადშემხმარი: ის გოგონა და მისი *შავადშემხმარი* დედამთი-ლი კი მაქოსავით გადი-გამოდიოდნენ (ჯაფ. 68, 11).

შავადშემქნარი: გვერდით ბეზია უდგას, მაღალი, *შავადშემ-ქნარი* ქალი, ცალი ხელით აყრის ქოქოლას (შორ. 117, 26).

შაკვისერდაღერებული: მეც მახსოვს, ისინი ერთად – თეთრპერანგანები, *შაკვისერდაღერებულები*, ჯიუტქოჩრებიანები და სახეგანათებულნი (გოლ. 153, ქვ. 3).

შავადალანძული: (თუთა) ყორესა და სახლშუა იდგა – დიდი, *შავადალანძული* (ცისფ. 61, 4).

შავადაგრანელი: ღობესთან – *შავადაგრანელი* ტოტემშეკაფული მუხა... (ალერს. 132, 6).

შავადშესნილი: დურგლის სამი ჩაჯირკვებული ბიჭი და მათი მძაკაცები *შავადშესნილი* კართან ფაციფუცობდნენ (ასულ. 91, 2).

ქარვაშეპარული: ახლა უკვე *ქარვაშეპარული* მზე იყო (ალერს. 26, 25).

შავითმოსილი: ნაღვლიანი თვალებით იყურებოდნენ *შავითმოსილი* ქალები (გოლ. 61, 18); დაღუნული წაჩაჩუნდა პატარა *შავითმოსილი* დედაბერი (ასულ. 269, 10).

დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა სხვადასხვა ფორმით გამოხატული ფერთა სახელი აზუსტებს წინადადების ერთ-ერთ წევრს:

სოსანა... თვითონაც უხმო იყო, თექის ქუდის ქვეშ *ჩათეთრებული* (ასულ. 185, ქვ. 7).

ხარობენ თვითონ *შინდებიც* – მსხვილები, *ლალისფრად ციმციმები* (ასულ. 85, 120).

წყალი ცივია, *ტყვიისფერი*, რაღაც მკაცრი (ცისფ. 200, 3).

მოდის ერთი შუახნის *ქალიც* – გამხდარი, გასწეულებული, *შავ-ყვითელი* (ჯაფ. 351, 6).

ბროწეულებს თამროს *მსხლები* მოჰყვა, ცივები, მძიმეები, გვერდებ ოკრო-ბოკროები, *მომწვანო-მოყვითალოები* (შორ. 134, 14).

შეგიმჩნევია ქერა *კახელები* – როგორღაც ფართონაკვთებიანი, გლუვნი, *წყლისფერთვალებიანი*, წარბებგადახუნულები (ალერს. 270, 18).

მიმღეობური ფერთა სახელები ზმნისწინებითაც დასტურდება. ხშირად თავად ზმნაც (ნასახელარი) ნაწარმოებია ფერის გამომხატველი სახელისაგან:

ახლა მთლად ლამაზი იყო, *შეფაკლებული* და გაბრწყინებული (გოლ. 368, 10).

მე ერთი *წამოვწითლებულვარ* და წამოვჭიმივარ, მესროლე-მეთქი (ტ. I, 26, 18).

დაუწითლდა, დაუჭარხლდა ხელები (ასულ. 133, 14).

დიდი ადგილი გადააშავეს (გოლ. 290, 22).

კარგად რომ ჩაყვითლდება, უფრო რომ ჩაყავისფრდება, მაშინ მშვენიერი საჭმელი ხდება (გოლ. 247, 4).

ფშა ქმნის სიღრმეებში ჩალურჯებულ მდორეებს (შველ. 50, 4).

გავუყევი თოვლით გადასპეტაკებულ ბილიკს (ასულ. 126,7)

აქ ტყე ჩაშვებულია, ჩაიდუმალებული (შორ. 292, 13).

რ. ინანიშვილის ენაში ხშირად ფერის გამომხატველი სიტყვა გვხვდება მცენარის ამა თუ იმ ჯიშის სახელებშიც მსაზღვრელად ან კომპოზიციის ერთ-ერთ (პირველ ან მეორე) ნაწილად:

იყო... შავი ჭანჭური (საღ. 109, ქვ. 8).

ამას დავუმატეთ ერთი კილო გურული ნაცარა ვაშლი (ცისფ. 175, ქვ. 5).

შემდეგ მუხები, შვრცხილები – ნამდვილი ტყე (ჯაფ. 48, 2).

იქაც გვასწავლიდნენ: ეს პრასა ბალახია, ეს თავისყანა, ეს შავ-თავა (ტ. I, 27, ქვ. 2).

გამოაქვთ დამკვრახული რქაწითელი (კეთ. 211, 26).

წითელა დასტურდება მწვავე გადამდები სნეულების აღსანიშნავადაც: წითელა მქონდა, მისმა დასამიწებელმა მამამ მაშინაც არ ნახა (ასულ. 180, ქვ. 11). **წითელი** გვხვდება მყარ გამოთქმაშიც – **წითელი კოჭი**: მე რა წითელი კოჭი ვარ! (მეგობ. 27, 3).

მწერლის ენაში სინამდვილის მხატვრულად აღქმის თვალსაზრისით ერთი და იგივე საგანი შეიძლება სხვადასხვა ფერითაც კი იყოს წარმოდგენილი.

პერსონაჟის დახასიათებისას

თვალები:

ბალახისფერი თვალები ჩამუქებოდა (გოლ. 92, 28).

თვალები... დამჭკნარი ბალახისფერი (ჯაფ. 271, 9).

თვალები... დამჯდარი ბალახისფერი (ჯაფ. 271, 9).

სანთლისფრად უბრწყინავდა თვალები (გოლ. 204, 17).

უჟუჟუნებდა ცისფერი თვალები (გოლ. 250, ქვ. 1).

მხოლოდ ზეაწეული – წამწამებიანი ცისფერი თვალები ცოტა უფრო ფართოდ ჰქონდა გახელილი (შორ. 32, 3).

ერთხელაც ააჟუჟუნა წყლისფერი კეთილი თვალები (საღ. 147, 3).

წყლისფერი გახარებული თვალები ეხუჭებოდა (ჯაფ. 70, 26).

კანი:

ფერი ჰქონდა – *იასამნის მტვრისფერი* (ალერს. 237, 1).

ტერფები მძიმე ჰქონდა, *მიწისფერი*, გარქოვანებული (ასულ. 148, 11).

მზისფერი რომ ხარ, სუნიც მზისა გაქვს (ჯაფ. 201, 21).

თავით ფეხებამდე რაღაც *ქანგისფერი* ქალი (ალერს. 140, 6).

სპილენძისფერ სახეზე იშვიათად თუ გადაუვლიდა ღიმილი (ასულ. 96, ქვ. 7).

შეებრალა ის *სპილენძისფრად* გადალაპლაპებული კაცი (ალერს. 81, 3).

ჩაკუნტულია მის მუხლთან მთლად *სანთლისფერი* ქალი (ასულ. 80, 19)

კანდაფშხალულ თითებზე *ლურჯი ფერი* დაჰკრავდა (ჯაფ. 325, 7).

ტანსაცმელი:

სოფელში ისე არ გაივლიდა, *დარიჩინისფერი ქულაჯა* და შავადგაპრიალებული ჩექმები არ ჩაეცვა (ალერს. 401, 15).

მხრებზე *მორენგოსფერი ჟაკეტი* მოეხურა (ალერს. 411, 2).

მაგრად მოხარშული კვერცხისგულისფერ ქურთუკს ხან მხარზე გადაიდებდა, ხან ილლიაში ამოდებული მოჰქონდა (ჯაფ. 189, 7).

იაკოვას კაპიუშონიანი საწვიმარი აცვია, *მწვანე*, ახლა სისველისაგან *გაშავებული*, გაფხოკილი (სად. 26, 6).

სამყარო

ცა: ნალვლიანი კვიპაროსები აჰკვროდნენ *შაბიამნისფერ* მოცახცახე ცას (ჯაფ. 78, 18).

მაღლა, *კალისფერი* ციდან გამოვიდნენ კრუტუნა კვირიონები (ალერს. 158, 14).

ხეობა: მთელი ხეობა *ნესტისფრად* ჩაბუნტებულეყო (შორ. 298,2).

მწვერვალი: ასე გეგონებოდა, ცოტაც და მთასვლელებიც გამოჩნდებოდნენ მის *ოქროსფრად* გადაგლუებულ მწვერვალებზე (ალერს. 24, 14).

კლდე: *დამბალ სელისფერ* კლდეზე გამდეგილივით დაყუდებულია რაღაც ნაგებობა (ცისფ. 191, ქვ. 4).

მთა: *ლურჯ მთებს* ლეჩაქივით გამჭვირვალე ბურუსი თუ ორ-თქლი აქვს გაკრული (ცისფ. 219, ქვ. 5).

ბურუსი: ლიცლიცით გამოდიოდნენ *იასამნისფერ ბურუსიდან* (ჯაფ. 69, ქვ. 7).

ღრუბელი: ის ღრუბლები *ვარდისფრად* შეიღება (ასულ. 92, 4).

სივრცე: იმ ცისარტყელების უკან, *მტუტისფერ სიღრმეში*, ისეე ქუხდა (შორ. 275, ქვ. 11); *ჯანღისფერია* და მგმინავი ყოველივე ირგვლივ (ასულ. 80, 4).

სულიერი განწყობის გამოსახატავად: გასაოცარი *ქარვისფერი სიმშვიდე* დგებოდა (ასულ. 152 ქვ. 3).

სოფელი: აული... დგას *მკვდრის მზედაფენილი ლოდებისფერი* – მკაცრი, უძრავი (ცისფ. 231, 8).

სახლი: *დინდგლისფერ* ხუთ ბოძს მიმედ დასწოლია სველი, ხავსმოდებული ღარიანი კრამიტის სახურავი (ალერს. 295, 13); *რეისქვისფერი* კრამიტით დახურული სახლები თითქოს საგულდაგულოდ დაუსუფთავებითო (ცისფ. 179, 19).

ბინა: *სალათისფრად* შეღებილი ოთახი (ასული 35, 14); გამოიკვეთება ფანჯარა *ტყვიისფრად* (ასულ. 35, ქვ. 6).

როგორც ვხედავთ, რ. ინანიშვილის ენაში უხვად დასტურდება როგორც სამწერლო და ხალხური მეტყველებიდან ცნობილი, ისე მის მიერ შექმნილი ფერთა აღმნიშვნელი ახალი ლექსიკური ერთეულები, როგორებიცაა: **იასამნის მტვრისფერი, კალისფერი, დინდგლისფერი, მკვდრის მზედაფენილი ლოდებისფერი, თიხისფერი, რიყის ქვისფერი, მტუტისფერი, ნესტისფერი, ჩრდილისფერი, ჯანღისფერი, მზისფერი, ბელურასფერი, ჭიგვის ფერი** და სხვ.

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ რ. ინანიშვილმა მის მიერ შექმნილი ფერებით – გამორჩეული პოეტური ალღოთი თუ ხელწერით – მკითხველს მისეულად ადაქმევინა სამყაროც, სოფელიც, ბინაც, ეზოც, ცაც, მთაც, მდინარეც და, რაც მთავარია – პერსონაჟებიც.

ლიტერატურა

კოშორიძე 2005 – ელ. კოშორიძე, მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბილისი.

მირიანაშვილი 1986 – ნ. მირიანაშვილი – ფერთა აღმნიშვნე-

ლი ლექსიკა ქართულსა და რუსულ ენებში (თარგმნითი ლექსიკონების მიხედვით), თბილისი.

ჩიქობავა 1969 – არნ. ჩიქობავა, ვაჟას ლექსიკონისათვის (წინასიტყვაობა), ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი შეადგინა ალ. ჭინჭარაულმა).

ქეგლი 1950-1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი; ახალი რედაქცია, 2008, 2010, 2015, ტ. I, II, III, რედაქტ. ავთ. არაბული, თბილისი.

წყაროები

- ალერს.** – ალერსი შიშიანობის დროს, თბილისი, 1986.
- ასულ.** – მთვარის ასული, თბილისი, 1987.
- გოლ.** – პატარა ბიჭი გოლგოთაზე, თბილისი, 1989.
- ერთტ.** – ერთტომეული, თბილისი, 1981.
- კეთ.** – კეთილი მიწა, თბილისი, 1984.
- მეგობ.** – მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან, თბილისი, 1958.
- მოთხრ.** – მოთხრობები, თბილისი, 2007.
- სად.** – სადამო ხანის ჩანაწერები, თბილისი, 1973.
- ტ. I** – თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. I, თბილისი, 1953-1968 წწ.
- ტ. IV** – ტ. IV, პროზა, თბილისი, 2012.
- შველ.** – შველი ზამთრში, თბილისი, 1986.
- შორ.** – შორი თეთრი მწვერვალი თბილისი, 1976.
- ჩიტ.** – ჩიტების გამომზამთრებელი, თბილისი, 1978.
- ცისფ.** – ცისფერი გორგალი, თბილისი, 1968.
- წერ.** – მოთხრობები, ჩანაწერები სამაგიდო რვეულიდან, წერილები თბილისი, 2012.
- ჯაფ.** – ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა, თბილისი, 1974.

Nineli Chokhonelidze

The Color Names in R. Inanishvili's Language

Summary

The paper deals with the vocabulary of colors used in the works by R. Inanishvili. His prose contains new color names created by the author along with the common ones. The words to describe colors, adjectives and epithets are used with a rare artistic instinct by the writer to perfectly show the inner human nature as well as the outer world.

The color palette used by the writer is especially visible in syntagms, compounds consisting of two or three elements. He frequently uses complex phrases having the suffixes **-a** and **-ian**, possessive and definitive compounds in which the base **per-** can be often distinguished as the first part, e. g. *gvitelgula*, *čreltvalebiani*, *tetrlebniani*, etc.

Most importantly, R. Inanishvili enabled the readers to perfectly feel and perceive the world in his way using the color names and his special literary instincts and manner.